



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№218 2013 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

**უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული
გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო
პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში
სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების
განსაზღვრის შესახებ**

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდეს შემდეგნაირად:

მუხლი 1. დაფინანსების ოდენობა

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისათვის გამოიყოს 2 560 000 (ორი მილიონ ხუთას სამოცი ათასი) ლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისათვის გამოიყოს 1 960 000 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცი ათასი) ლარი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2011-2012 წლების ერთიანი ეროვნული

ნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისათვის გამოიყოს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი.

4. სოციალური პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის (შემდგომში – გრანტი) სრული ოდენობის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, სოციალური პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრანტის სრული ოდენობის მაქსიმალური ოდენობისა.

მუხლი 2. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას ან არის ამ დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 24 ივნისის №79/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებულ, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე, რომელშიც/რომლებშიც 2013-2014 სასწავლო წელს სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო.